დემოკრატიის აკადემია

სამოქაღაქო იდეა

ახალგაზრდული ფორუმი "ახალგაზრდები საქართველოდან მშვიდობისა და დემოკრატიისთვის"

DEMOCRACY ACADEMY

CIVIC IDEA

YOUTH FORUM: “GEORGIAN YOUTH FOR PEACE AND DEMOCRACY”

#PERSPECTIVES20-30

#პერსპექტივები20-30

სადისკუსიო დოკუმენტი

ახალგაზრდების ჩართულობა
უსაფრთხო მომავლისთვის

ახალგაზრდები მშვიდობისა და დემოკრატიისთვის
6 თებერვალი, 2020
თბილისი

სამუშაო ენა: ქართული
დღის წესრიგი

9:30 – 10:00 **რეგისტრაცია**

10:00 – 10:20 **ღონისძიების გახსნა**

ფელიქს ჰეტი, დირექტორი,
ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასია

თინათინ ხიდაშელი
თავმჯდომარე, სამოქალაქო იდეა
საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი

ალბა ბროჟკა
ეუთოს ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების
სპეციალური წარმომადგენელი, 2020
ალბანეთის თავმჯდომარეობის ოფისი

რევაზ ჩარკვიანი
საქართველოს პრემიერ მინისტრთან
არსებული ახალგაზრდობის სააგენტოს
ხელმძღვანელი

10:20 – 10:45 **ოფიციალური მისალმება**

ქეთევან ციხელაშვილი
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში

10:45 – 12:00 **სესია 1.**

„20-30 პერსპექტივები“: ახალგაზრდების ჩართულობა უსაფრთხო მომავლისთვის

- ეუთოს „20-30 პერსპექტივები“
- ეუთოს საქმიანობის პრეზენტაცია ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების სფეროში
- ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- როგორ დავუჭიროთ მხარი ახალგაზრდებს, როგორც მშვიდობის და უსაფრთხოების აქტიურ თანამონაწილეებს
- ჩართულობა, მონაწილეობა და ადვოკატირება - როგორ გავაძლიეროთ ახალგაზრდული ხმები მშვიდობიანი, უსაფრთხო და მდგრადი საზოგადოების პოპულარიზაციისთვის

მომხსენებლები:

სამუელ გოდა
ეუთოს ყოფილი სპეციალური წარმომადგენლი ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების საკითხებში 2018-2019; ვიცე-დეკანი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ეკონომიკის უნივერსიტეტი, ბრატისლავა

ანა-კატერინა დაინინგი
ეუთოს ყოფილი სპეციალური წარმომადგენლი ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების საკითხებში 2015-2016; ახალგაზრდებისა და უსაფრთხოების კოორდინატორი, ეუთოს სამდივნო

ნიკო შერნბეკი
ეუთოს ყოფილი სპეციალური წარმომადგენლი ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების საკითხებში 2017; უფროსი მრჩეველი, ეუთოს 2020 ალბანეთის თავმჯდომარის ოფისი

მოდერატორი:
ქრისტინა არაქელოვა
ექსპერტთა ძირითადი ჯგუფის წევრი;
პრეზიდენტი, ახალგაზრდები დიპლომატიური ჩართულობისათვის

დისკუსია

12:00 – 12:15 შესვენება

12:15 – 13:30 სესია 2.
ახალგაზრდების გამოწვევები: ახალგაზრდების იდენტობა და ღირებულებები - ხედვა საქართველოდან

· ახალგაზრდები მშვიდობისა და უსაფრთხოების დისკურსში
·ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა
· როგორ ხედავენ ახალგაზრდები საქართველოში მთავრობის როლს უსაფრთხოების გამოწვევების შეფასებაში
· რა გავლენა აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებს ახალგაზრდებზე
· ახალგაზრდული მოძრაობები: მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები

ახალგაზრდა ლიდერების პანელი:
ირაკლი კუპრაძე
სამოქალაქო გაერთიანება "ლელო"

თამარ ჯაყელი
ახალგაზრდა მწვანეები

კოტე შუბითიძე
"ევროპული საქართველო"

სალომე მგელაძე
შენების მოძრაობა

გიორგი მელაშვილი
ევროპულ-ქართული ინსტიტუტი

შოთა დიღმელაშვილი
მოძრაობა "სირცხვილია"

მოდერატორი:
გიორგი მოლოდინი,
სამოქალაქო იდეა
ექსპერტთა პანელი:
· მშვიდობის მშენებლობა
· უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები
· გარემო და ენერგო უსაფრთხოება
· კანონის უზენაესობა

გიორგი კანაშვილი
მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტების მართვის ექსპერტი

დავით უსუფაშვილი
საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავჯდომარე

მანანა ქოჩლაძე
მწვანე ალტერნატივა

პროფ.ბესიკ ლოლაძე
საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე

მოდერატორი:
თამარ ჩიხლაძე
ჟურნალისტი, ტვ პირველი

13:30 - 14:30 **სადილი**

14:30 – 16:30 **4 პარალელური სამუშაო ჯგუფი:**
(ახალგაზრდების წარმომადგენლები, მოდერატორები და სპიკერები, რეგისტრირებული მონაწილეები)

16:30 - 17:00 **შესვენება - ყავა**

17:00 – 18:30 **სესია 3.**
ახალგაზრდების როლი მშვიდობასა და უსაფრთხოებაში

· ახალგაზრდები და თაობათაშორისი ურთიერთობები
· ქართველი ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები
· ახალგაზრდები მშვიდობისა და უსაფრთხოების დისკურსში
· ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა
· რა როლი შეიძლება ითამაშონ ახალგაზრდებმა საქართველოში უსაფრთხოების გამოწვევებთან ბრძოლაში
· რა გავლენა აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებს ახალგაზრდებზე

დიალოგი გიორგი კეკელიძესთან
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი

18:30 **ღონისძიების დახურვა:**
ალბა ბროჟკა
ეუთოს ახალგაზრდობისა და უსაფრთხოების სპეციალური წარმომადგენელი
2020 ალბანეთის თავმჯდომარეობის ოფისი

მომზადებულია ექსპერტების ძირითადი ჯგუფის მიერ
2019 წლის ოქტომბერი

ეუთო-ს ახალგაზრდობის და უსაფრთხოების გუნდი

perspectives2030@osce.org
www.osce.org/youth

Organization for Security and Co-operation in Europe

ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპაში
თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონალურ
ოფისთან თანამშრომლობით.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
FES Regionalbüro für Zusammenarbeit und Frieden in Europa
FES Regional Office for Cooperation and Peace in Europe

ეუთო-ს სამდივნო არ იღებს პასუხისმგებლობას წარმოდგენილი დოკუმენტის თაობაზე. ეუთო-ს სამდივნოს მიერ აღნიშნული დოკუმენტის დისტრიბუცია ხორციელდება ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გარეშე.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....8

შესავალი.....11

მშვიდობის შენება.....12

ახალი ტექნოლოგიები.....14

გარემო და ენერგია.....17

კანონის უზენაესობა.....19

უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები.....21

განათლება.....23

დასკვნა.....25

ძირითადი ჯგუფის წევრები.....26

წინასიტყვაობა

რა არის ინიციატივა - პერსპექტივები 20-30?

წინამდებარე სადისკუსიო დოკუმენტი მომზადდა ეუთო-ს „პერსპექტივები 20-30“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ჯგუფი შედგებოდა ოცდაორი ახალგაზრდა პროფესიონალისგან, რომლებიც განასახიერებენ ეუთო-ს რეგიონის გენდერულ და გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას. ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ წრეებს, მათ შორის აკადემიას, სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას და მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავებაში.

„პერსპექტივები 20-30“ ინიციატივის წამოწყება ეუთო-ს რეგიონში უსაფრთხოების ვითარების გაუმჯობესების გულწრფელი მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი. იგი უზრუნველყოფს პლატფორმას ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან განიხილონ საკუთარი ხედვები, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ეუთო-ს რეგიონის უსაფრთხო მომავალი 2030 წლისთვის და შემდეგ.

სადისკუსიო დოკუმენტი „პერსპექტივები 20-30“, ეუთო-ს მიერ, 2019 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის ევროპული თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონალური ოფისის, ასევე და ფოლკ ბერნადოტის აკადემიასთან პარტნიორობით ორგანიზებული დისკუსიების შედეგია. ექსპერტთა ძირითადი ჯგუფი სწრაფად შეიკრიბა და მათი თაობისთვის დამახასიათებელი ახალი ხედვით შეუდგა ეუთოს რეგიონის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და შეთანხმების რთულ, მაგრამ აუცილებელ ამოცანას. მათ ამ დოკუმენტში მოახდინეს ტრადიციული

მიდგომების რეკონცეპტუალიზაცია ეუთო-ს რეგიონის წინაშე არსებულ როგორც მოსალოდნელ, ასევე მრავალწლიან გამოწვევებთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ ახალი სუნთქვა შთაბერონ მშვიდობასა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დღემდე არსებულ ყოვლისმომცველ მცდელობებს, იპოვონ ახალი შესაძლებლობები, ახალი მიდგომები და უზრუნველყონ დისკუსიები ყველა დონეზე.

ეს დოკუმენტი, 2019 წლის 28-29 ოქტომბერს ეუთო-ს ბრატისლავას ახალგაზრდული ფორუმის განხილვების უმთავრესი წყაროა.

„პერსპექტივები 20-30“ ინიციატივა გააერთიანებს ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების, პარტნიორების ახალგაზრდებსა და ოფიციალურ წარმომადგენლებს, შემოთავაზებული საკითხების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში ახალგაზრდების როლისა და ადგილის განხილვისათვის. ეუთო-ს ახალგაზრდული ფორუმის შემდეგ ძირითადი ჯგუფის წევრებს საშუალება ექნებათ განაახლონ დოკუმენტი. სწორედ ახალგაზრდების იდეები უნდა იქცეს ეუთო-ს 2030 წლის უსაფრთხოების დებატების შთაგონებად.

„პერსპექტივები 20-30“ ინიციატივას ახორციელებს ეუთო-ს გენერალური მდივნის აპარატი, „ახალგაზრდების უსაფრთხო მომავლისთვის“ ეუთო-ს 2019 წლის სლოვაკეთის თავმჯდომარეობის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ფინეთის, გერმანიის, ირლანდიის, იტალიის, ლიხტენშტეინის და სლოვაკეთის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით.

ტომას გრემინგერი

ეუთოს გენერალური მდივანი

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
FES Repräsentäre für Zusammenarbeit und Frieden in Europa
FES Regional Office for Cooperation and Peace in Europe

OSCE Organization for Security and Co-operation in Europe

#პერსპექტივები20-30

გზა თანამშრომლობისკენ

ინოვაციები

ინოვაციის ბარიერი

ინოვაციის ბარიერი

ინფორმაციული ბალანსი

ინფორმაციული ბალანს

შესავალი

თანამშრომლობის გზები

ჩვენ, ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი წევრები ცივი ომის შემდგომ დაბადებული და გაზრდილი თაობის წარმომადგენლები ვართ, რომლებიც კვლავაც ვიმკით მის შედეგებს. ხანა, რომელიც უნდა ყოფილიყო სიმშვიდისა და ერთიანობის, გადაიქცა მერყეობისა და უთანხმოების ეპოქად, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა ყველაზე მთავარს, ჩვენს საერთო უსაფრთხოებას. დღესდღეობით ჩვენ ვუყურებთ ელიტების მიერ მართულ პოლიტიკას, ფართოდ გავრცელებულ კორუფციას, უსამართლო არჩევნებს და მრავლობით არადემოკრატიულ პროცესებს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში. ყოველი ჩვენგანი ინდივიდუალურად ვცდილობთ შევეხმიანოთ ამ პროცესებს დემოკრატიული რეფორმების წახალისებით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტიზაციით, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებით, ახალგაზრდობის ჩართულობისა და ჩვენს ქვეყნებში უფრო ღია და ინკლუზიური დიალოგის ხელშეწყობით.

მთავრობათაშორის დონეზე მრავალმხრივი ურთიერთობების კლების ტენდეციის მოწმენი, შეშფოთებულნი ვართ მზარდი უნდობლობით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. სწორედ ამგვარი ტენდეციების პრევენციის მიზნით, ერთად შევიკრიბეთ უკეთესი და უფრო ინკლუზიური გზების მოსაძიებლად.

ახალგაზრდა თაობა მხარდამჭერი და მოზიარეა ამ პროცესების და არა მაყურებელი. ვენაში ორი ინტენსიური შეხვედრისა და ვრცელი ინტერნეტ კონსულტაციების შემდეგ, შევაჯერეთ ჩვენი შეხედულებები და გამოცდილება იმ ძირითად შესაძლებლობებზე, გამოწვევებსა და მიმართულებებზე კონსენსუსის მიღწევის მიზნით, რაც გავლენას ახდენს ჩვენს უსაფრთხოებაზე. აქტიური განხილვებისა და პრიორიტეტების აღიარების შემდეგ, გამოვავლინეთ ახალი ტექნოლოგიები, კანონის უზენაესობა, მშვიდობის შენება, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება, განათლება და გარემოს დაცვა, როგორც ექვსი ძირითადი საკითხი, რომელიც უნდა მივმართოთ, მომავალი თაობების უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად. ჩვენ გთავაზობთ პრაქტიკულ და რეალისტურ რეკომენდაციებს, რაც მიზნად ისახავს ეუთო-ს ფარგლებში და მის მიღმა ნდობის გაძლიერებას საზოგადოებაში.

ეუთო-ს 2030 წლის მომავალი დღის წესრიგის მდგრადი განვითარებისა და მისი მიზნების გათვალისწინებით, ჩვენ ვსვამთ კითხვას: როგორ გამოვიყენოთ ჩვენი რესურსები და როგორ ვიმუშაოთ ერთად, რათა მივაღწიოთ უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, თანამშრომლობას და მშვიდობას თითოეული ჩვენგანისთვის?



მშვიდობის შენება

ახალი ხედვების ფორმირება

ახალგაზრდები მზადყოფნას გამოთქვამენ, ეუთო-ს ფარგლებში მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობისთვის. **ცივი ომის შემდგომ ეპოქაში მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ახალი, პოზიტიური ნარატივების შექმნაში და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტის მოგვარების კუთხით.** შესაბამისად, #პერსპექტივები 20-30 ინიციატივის დოკუმენტის შექმნის პროცესში, ქვესათაურები ხშირად იცვლებოდა, სანამ ჩვენს ექსპერტთა ჯგუფის წევრები უფრო ოპტიმისტურ დასახელებებზე არ შევჯერდით.

ჩვენ უფრო **მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ საერთო ინტერესებს და ძირითად გამოწვევებს**, როგორც შემდგომი დიალოგის საფუძველს. განსაკუთრებულია ეუთო-ს ტრადიციული როლი, როგორც მაკავშირებელი ხიდისა აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის. ორგანიზაცია უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს დიალოგს და შექმნას პოლიტიკურად სავალდებულო ქცევის კოდექსი, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა შორის თამაშის წესებს, ამასთან განაგრძობს ნდობის აღდგენისა და რისკების შემცირების მექანიზმის ხელშეწყობას ისეთ საკითხებზე, რომლებიც ტრადიციულად დაკავშირებულია შეიარაღების კონტროლთან. შეიარაღების კონტროლის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება, როგორიცაა საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების შეთანხმება, ითხოვს სხვადასხვა საშუალებების კვლევას და თვითრეგულირებას, ისევე როგორც, რეგიონში საშუალო და მოკლე რადიუსის საბრძოლო საშუალებების მონიტორინგისთვის სპეციალური მისიების არსებობას.

ვინაიდან გაყინული და ძალადობრივი კონფლიქტები პოლიტიკურ დღის წესრიგში რჩება, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დიდი გარღვევის შანსები შეზღუდულია. თუმცა, ჩვენ გვინდა წავახალისოთ ახალგაზრდების პოზიტიური ძალის გამოყენება

ეუთო-სა და მისი წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორების მიერ ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერით, **რათა უზრუნველყონ ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა ფორმატში**, მათ შორის მოლაპარაკებებში, სამშვიდობო დიალოგისა და ექსპერტული განხილვებისას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეუთო-ში **კონფლიქტის შედეგებისა და ზარალის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა**, აფერხებს მშვიდობიანი თანაცხოვრების შანსებს. მტკიცედ გვჯერა, რომ ეუთო-ს რეგიონში ხარჯებისა და კონფლიქტების შედეგების შესახებ ამგვარი ინფორმაციული ვაკუუმი ამცირებს მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობას. ამგვარი ცოდნის სიმცირე შედეგად იწვევს არასწორ წარმოდგენებს და გაუგებრობებს, რასაც ზოგჯერ მივყავართ არსებული მდგომარეობის გამწვავებისა და თანამშრომლობის ნაკლებობისკენ, რაც წაგებიანია ყველასთვის. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შეიძლება მიღწეულ იქნას განათლებისთვის მეტი ყურადღების დათმობით. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი თავი განათლების შესახებ) აუცილებელია სპეციალურად განხორციელდეს მშვიდობის სარგებლიანობის დემონსტრირება თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროებში, განსაკუთრებით კი ეკონომიკის სფეროში.

მაშინ, როცა კონფლიქტი შესაძლოა სარგებლის მომტანი იყოს გარკვეული ჯგუფებისთვის, უმრავლესობას მშვიდობა სჭირდება. ყოველდღიური საკითხების გადაჭრის მიზნით, ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ აქვს სათანადო პოლიტიკური ნება განავითაროს ეუთო-ს ნდობისა და უსაფრთხოების ზომები, მიუხედავად ამისა, მათ არ უნდა გამორიცხონ **თანამშრომლობის შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე**. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით ეუთო-ს რეგიონში, რეალურმა თანამშრომლობამ, მაგალითად, საზღვრების გასწვრივ, შესაძლებელია, მიგვიყვანოს ნდობისა და ურთიერთგაგების გაძლიერებამდე, მოიტანოს მატერიალური სარგებელი და გააუმჯობესოს ხალხის ცხოვრება.

რადგან ახალგაზრდობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის დამყარებაში, მოგებიანი იქნება ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა და წამოწევა ეუთო-ს სივრცეში, როგორიცაა #პერსპექტივები 20-30, ისევე როგორც მათი არასტაბილურ რეგიონებში გამოყენება ნდობის დამკვიდრებისთვის. ჩვენ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის წევრები, სურვილს გამოვთქვამთ მოვახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ხედვები მეტად დაცული და წარმატებული საზოგადოების ფორმირებას - ჩვენი და შემდგომი თაობებისთვის.

ახალი ტექნოლოგიები

ციფრული გარდამტეხი ეტაპი

ტექნოლოგიებს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), ხმოვანი და ვირტუალური რეალობა (AR/VR), მე-5 თაობა, ბლოქჩეინი - დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები მეტწილად ჩამორჩება ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარების მაღალ ტემპს, ვინაიდან იგი საჭიროებს უწყვეტ განხილვებს მრავალმხრივი ფორუმების ფარგლებში, საკითხისთვის დამახასიათებელი გლობალური ასპექტებით. კარგი მაგალითია 2016 წელს ეუთო-ს მიერ ნდობის ჩამოყალიბების 16 ინდიკატორის მიღება (CBMs) საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამოწვეული რისკების შემცირების მიზნით. თუმცა საჭიროა გაცილებით ინტენსიური თანამშრომლობა.

ჭკვიანი ტექნოლოგიები შეიქმნა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ტრანსფორმაციისთვის. მაგ., ავტომატიზირებული აპარატები მოსალოდნელია, რომ ჩაანაცვლებს სხვადასხვა ადამიანურ მუშა ხელს. ხოლო იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხალხი არ დარჩეს ციფრული ტრანსფორმაციის მიღმა, საჭიროა გაიზარდოს ინფორმაციასა და ტრენინგებზე ხელმისაწვდომობა, რაც დაეხმარება ბიზნესებსა და ინდივიდებს თავიანთი უნარების ამაღლება -ადაპტირებაში. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ ეთიკურ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება ალგორითმული სამართლიანობის, მომხმარებლის კონფიდენციალურობისა და მომხმარებლით მანიპულირებით დაწყებული პროფილის განსაზღვრით, მიკროფოკუსირებით, მომაკვდინებელი იარაღის სამხედრო მიზნებით გამოყენებით დასრულებული. სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეუთო-მ ფოკუსირება მოახდინოს ადამიანურ განზომილებაზე ტექნოლოგიების ტრანსფორმაციულ ძალასთან მიმართებაში.

ჩვენ ვხედავთ ეუთო-ს პოტენციალს, ხელოვნური ინტელექტის სანდოობისთვის ჩამოაყალიბოს AI სისტემების ეთიკური განვითარების სამოქმედო წესები, ეუთო-ს რეგიონისთვის ევროკავშირის სანდოობის წესების მსგავსად. ეუთო-ს ფოკუსი უნდა მოიცავდეს AR/VR- ს ბოროტად გამოყენების პრევენციას - წამებასთან, ვირტუალურ დანაშაულთან და პორნოგრაფიასთან მიმართებაში. ეუთო-მ ასევე უნდა



გაითვალისწინოს 5G-ს შედეგები, მაგალითად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კომუნიკაციაზე კონფლიქტის დროს, ან როგორ შეიძლება ეთიკური 5G სისტემის ეუთო-ს რეგიონის ქალაქებში ინტეგრირება. ჭკვიან ქალაქზე წვდომის გასაუმჯობესებლად, ეს ახალი და ზოგჯერ ძალიან ტექნიკური საკითხებია, თუმცა სწორედ ისინი უახლოეს მომავალში განსაზღვრავენ ჩვენს უსაფრთხოებას. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ეუთო-ს დასჭირდება ფეხი აუწყოს ცვლილებების ტემპს.



კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოება კვლავაც მოითხოვს საერთაშორისო საზოგადოების აქტიურ ყურადღებას და ჩართულობას, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების ჩათვლით. სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების პირადი ინფორმაციის დაცულობა, რაც როგორც ნდობის, ასევე უსაფრთხოების საკითხია. დღეს განსაკუთრებით რთულია კიბერუსაფრთხოების ეფექტური ღონისძიებების გატარება, რაც მომავალში კიდევ უფრო გართულდება. ეუთო-ს შეუძლია ინდივიდთა მონაცემების კონფიდენციალურობის გაზრდითა და მხარდაჭერის ძალისხმევით მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სახელმწიფოების კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაში, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში და სამუშაოს წახალისებით ეროვნულ ინსტიტუტებში. მავნე ტექნოლოგიების განვითარების გამო საჭიროა შეფასდეს რამდენად სრულად არის გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების ხელშეუხებობა. მაგალითად, ასეთ გამოწვევებს მოიცავს ხელოვნური ინტელექტის საფრთხე გადაწყვეტილების მიღების პროცესის და საინფორმაციო კონფიდენციალურობაში, იარაღის ავტონომიზაცია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ავტომატურ მანქანებთან დაკავშირებით და 4,0. ეკონომიკასთან დაკავშირებული შრომითი უფლებები. შესაბამისად, საჭიროა მონაწილე სახელმწიფოებმა შეიმუშაონ სახელმძღვანელო წესები ციფრულ უფლებებზე მძიმე სოციალური შედეგების პრევენციისთვის და უზრუნველყონ იურიდიული და პოლიტიკური ჩარჩოები ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლასა და რობოტექნიკასთან მიმართებით.

ეუთო-ს შეუძლია დაეხმაროს სახელმწიფოებს კრიტიკული ინფრასტრუქტურის, კიბერშეტევებისა და ტერორიზმის, მოწყვლადობის შემცირებაში, როგორიცაა მილსადენები და ელექტროგადამცემი ქსელები, ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხორციელდეს ჟენევის კონვენციის მსგავსი პროტოკოლის მიღებით და საჯარო-კერძო სექტორის უფრო ინტენსიური თანამშრომლობით. ეუთო-ს ასევე შეუძლია

ორგანიზება გაუწიოს ცოდნის გაზიარების ფორუმებს და ტექნოლოგიების გაცვლას უსაფრთხოების სისტემების გასაძლიერებლად, რომლებიც მოწყვლადია ჰაკერების შემოტევების მიმართ, ასევე შესაძლებელია უზრუნველყოს ამავე სფეროში სამართალდამცავების ექსპერტიზის შესაძლებლობების გაძლიერება. ეუთო-ს შეუძლია დაეყრდნოს უკვე არსებულ სახელმძღვანელო წესებს, მუდმივი საბჭოს No.1039 გადაწყვეტილების შესაბამისად. დამატებით ეუთო-ს შეუძლია გაზარდოს თავისი როლი, როგორც პრაქტიკულმა რეგიონულმა პლატფორმამ კონფლიქტის რისკების შესამცირებლად, რომლებიც წარმოიქმნება სწორედ საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ახალი ტექნოლოგიების მიღმა არსებული გამოწვევები საჭიროებს დამატებით დაფინანსებას კვლევისა და განვითარებისთვის. მაშინ, როცა ეუთო-ს ფინანსური რესურსები შეზღუდულია, მას კვლავაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, თანამშრომლობისა და ცოდნის გადაცემის ხელშეწყობაში, მოლაპარაკებებში - უსაფრთხოების სფეროებზე ტექნოლოგიური ცვლილების გავლენის საკითხებზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სამეცნიერო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება და საჯარო, კერძო სექტორსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ქმედითი კოლაბორაცია. ეს მონაწილე სახელმწიფოებს მისცემს შესაძლებლობას გააძლიერონ ადრეული გაფრთხილების სისტემები და მზადყოფნაში იყვნენ ICT-სთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და გამოწვევებთან მიმართებაში. ეუთო-მ, სხვებთან ერთად, ასევე უნდა შეისწავლოს თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიების გამოყენება ICT–ით გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განავითაროს ცეცხლთან ცეცხლით ბრძოლის შესაძლებლობა. მაგალითად, ფაქტების შემოწმების ავტომატიზირებული მექანიზმების განვითარება ყალბი ინფორმაციის გამოსავლენად, ან "გროვერ"-ის მსგავსი სისტემა, რომელიც 92% სიზუსტით ავლენს ყალბ ინფორმაციას. ამ მექანიზმების გამოყენება შესაძლებელია საგანგებო ვითარებებში ძლიერი AI, ბოტების და სხვა მავნე აქტორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას.

რადგან ახალგაზრდობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის დამყარებაში, მოგებიანი იქნება ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა და წამოწევა ეუთო-ს სივრცეში, როგორიცაა #პერსპექტივები 20-30, ისევე როგორც მათი არასტაბილურ რეგიონებში გამოყენება ნდობის დამკვიდრებისთვის. ჩვენ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის წევრები, სურვილს გამოვთქვამთ მოვახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ხედვები მეტად დაცული და წარმატებული საზოგადოების ფორმირებას - ჩვენი და შემდგომი თაობებისთვის.

გარემო და ენერგია

გარემოს მართვისა და თანამშრომლობის გაზრდა

კლიმატის ცვლილებისა და ექსტრემალური გარემო პირობების გავლენა დღითიდღე უფრო მეტად აისახება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე და წარმოქმნის სხვადასხვა არატრადიციულ საფრთხეებს, რაც დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა კავშირი გლობალურ დათბობასა და ინდივიდუალურ ძალადობისა და ჯგუფთაშორისი კონფლიქტის დონის მნიშვნელოვან ზრდას შორის. ჰაერის დაბინძურების გაზრდა, ასევე საკვებისა და წყლის დეფიციტი საფრთხეს უქმნის ადამიანის უსაფრთხოებას, რაც შედეგად მათ გადაადგილებას და მიგრაციას იწვევს. ყოველივე ეს კი აისახება ეროვნულ, რეგიონულ თუ გლობალურ უსაფრთხოებაზე. მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდები შეშფოთებას გამოხატავენ ჩვენი პლანეტის მომავალთან დაკავშირებით მასობრივი მოძრაობებითა თუ პროტესტით. შექმნილი ვითარება დაუყოვნებელ ქმედებას საჭიროებს და მასში ეუთო-ც უნდა ჩაერთოს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი, ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის, უპირველესი შემოთავაზებაა **გარემოს საკითხის ეკონომიკური განზომილებიდან ახალ, განსაკუთრებულ ფორმატში გადატანა, რაც სწორედ ეუთოს ფარგლებში უნდა განხორციელდეს.** ეუთო-ს უსაფრთხოების დღის წესრიგში გარემოსდაცვითი საკითხების უფრო მაღალ დონეზე აყვანა ყველა აუცილებელი ინსტიტუციური მხარდაჭერით, მეტ ყურადღებას მიიპყრობს და ხელს შეუწყობს მონაწილე სახელმწიფოების მობილიზებას, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეუდგნენ მუშაობას მდგრადი მომავლისთვის და გაზარდონ დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების იმპულსი.

ეუთო-ს დაფარვის ზონაში ენერგო უსაფრთხოების გამონვევაა გაურკვეველი საბაზრო მოთხოვნები, ქსელური ნაკლოვანებები და შეფერხებები, ასევე საბაზრო ძვრები და არასტაბილური ფასები. საჭიროა მეტი ინვესტიცია კვლევითი კომპონენტებისათვის, ინოვაციებში და ეფექტურ საჯარო-კერძო თანამშრომლობებში.

ენერგეტიკის დღის წესრიგში წინა პლანზე უნდა წამოიწიონ ნაკლებად ინტეგრირებულმა და დაბალი ჩართულობის რეგიონებმა, რადგან ისინი დამოკიდებულნი არიან ენერგიის ერთ წყაროზე. ეუთო-მ ხელი უნდა შეუწყოს მარეგულირებელი



ღონისძიებების გატარებას, აგრეთვე ბაზარზე დამყარებული დამხმარე მექანიზმების შექმნას, ყველა ჩართული პირის მიერ კრიზისის შემთხვევაში ეფექტური თანამშრომლობის და ფიზიკური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაძლიერების უზრუნველყოფას.

მიგვაჩნია, რომ „სამართლიანი გადასვლის“ ხელშეწყობით, სადაც კლიმატურად ნეიტრალური ეკონომიკისკენ მიმავალი გზა მინიმუმამდე დაიყვანს სირთულეებს მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით და არავის მოიტოვებს უკან - **ყველა დაინტერესებული მხარის უშუალო მონაწილეობით ეუთო შეძლებს სისტემური ცვლილების უზრუნველყოფას.** განახლებადი ენერგოსისტემების და ალტერნატიული განვითარების პოლიტიკის, ასევე სოციალური და ენერგიაზე ორიენტირებული დიალოგების ხელშეწყობით, ეუთო არა მხოლოდ გაუმჯობესებს უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს სოლიდარობასა და ნდობას, არამედ ეკონომიკურად გააძლიერებს რეგიონს კლიმატური ცვლილებების დარეგულირების საკითხებში.

ეკონომიკურ სისტემას, რომელიც არც სამართლიანია და არც სოციალურად, ან ეკოლოგიურად მდგრადი, მივყავართ ისეთ საზოგადოებამდე, სადაც სოციალური, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საჭიროებები კონკურენციას განიცდის. თუმცა, ეს არ უნდა იყოს ნულოვანი თანხით თამაში. **უბრალოდ, ენერგიის გადასვლა, ამბიციური კლიმატური პოლიტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი, უმთავრესი ნაბიჯებია ახალი ეკონომიკისკენ, რომელიც შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს.** ეს გახლავთ პერსპექტიული განვითარება ეკონომიკის დეკარბონაციისა და გრძელვადიან პერიოდში მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და ადაპტირებული რეგიონალური თუ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაცული იქნება გარემოსდაცვითი სტანდარტები, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯები იქნება საერთაშორისო მასშტაბით. უფრო ადგილობრივ დონეზე კი ეკონომიკური საქმიანობის, ჭკვიანი ქალაქების გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ხანგრძლივი მიმოქცევისკენ სწრაფვა და ნარჩენების დახარისხება, ნედლეულის შეძენის ჩანაცვლება მათი გამოყენების უფლების შეძენით, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენენ კონკრეტულ ქმედებებს კაცობრიობის ეკოლოგიური კვალის წასაშლელად. **ეუთო-ს მიერ შემოთავაზებულმა ეკოლოგიურმა განზომილებამ შეიძლება წამყვანი როლი შეასრულოს ჩვენი მომავლის ჩამოყალიბებაში, წევრ სახელმწიფოთა შორის არსებული სისტემების ტრანსფორმაციის შესახებ დისკუსიების წახალისების გზით, რაც ადამიანის უსაფრთხო მომავალის საწინდარია.**

კანონის უზენაესობა

გადასვლა „ერთი ყველასთვის“ მიდგომაზე

ეუთო-ს კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა ეფუძნება მის წევრ სახელმწიფოთა შორის იდეების, ნორმებისა და ფასეულობების მრავალფეროვნებას, მისი ინსტიტუციური მიზნების გათვალისწინებით. ამასთან, დღევანდელ, უფრო პოლარიზებული გლობალური პოლიტიკური კლიმატის პირობებში, ჩვენ, როგორც ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, **ხაზგასმით ვაცხადებთ ორგანიზაციისადმი მოთხოვნას, რომ მან ხელახლა აიღოს პასუხისმგებლობა და ხელი შეუწყოს მანამდე შეთანხმებულ ნორმებსა და ღირებულებებს.** ინტერესთა ჰეტეროგენურობის აღიარება უნდა განხორციელდეს კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და სხვადასხვა ინსტიტუციური აღმშენებლობის პრინციპებთან ერთად. ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის უნდა აღდგეს ურთიერთნდობა და ერთიანი საზოგადოებრიობის განცდა. ანგარიშვალდებულების კულტურის ხელშეწყობით გამარტივდება საყოველთაო ურთიერთგაგება და პრაქტიკა, რაც ორგანიზაციას განვითარების საშუალებას მისცემს.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ გამჭვირვალობის ნაკლებობა მჭიდრო კავშირშია იმ გამოწვევებთან და საფრთხეებთან, რომლებიც გავლენას მოახდენენ ჩვენს საზოგადოებებზე 2030 წლისთვის.

სინამდვილეში, კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე დიდი წინააღმდეგობაა განვითარების და ეფექტური მმართველობისთვის. ის მოიცავს კორუფციის სექურითიზაციას, უკონტროლო უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს (FDI), სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას, საარჩევნო საკითხებს და უკანონო დაფინანსებას. კორუფციის სექურითიზაციას - ანუ მზარდ კორუფციას, საზოგადოებრივი საჯარო უსაფრთხოების სექტორში - აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს იმგვარი კანონმდებლობის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მმართველი პოლიტიკოსების კორუფციულ საქმიანობას და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ამავდროულად ის ძირს უთხრის პასუხისმგებლობას. ამრიგად, ეუთო-მ ანტიკორუფციული ძალისხმევა თავის დღის წესრიგში წინა პლანზე უნდა გამოიტანოს, რათა უზრუნველ-

ყოს, რომ მთავრობები ემსახურონ ხალხს, ვინც ისინი აირჩია და არა კერძო ინტერესებს.

გამჭვირვალობის ზრდის უზრუნველსაყოფად ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია უსაფრთხო ელექტრონული მმართველობა. ეუთო-ს საქმიანობა მედია თავისუფლების საკითხში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ჟურნალისტიკასა და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობისათვის. იგი ასევე არეგულირებს იურიდიული სტანდარტების შემოღებას ინტერნეტ და სოციალური მედიის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ამა თუ იმ ქვეყანაში ძალაუფლებისა და გავლენის ყიდვა არ წარმოადგენს საფრთხეს მხოლოდ ამ ქვეყნისთვის. **არაკონტროლირებადმა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს კანონმდებლობაზე, საკუთრების უფლებებზე და შექმნას პრივილეგირებული პოზიციები გარკვეული ინვესტორებისთვის.** ყველაზე უარესი სცენარით, კორუფციისა და უკონტროლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექურითიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს **პოლიტიკური კორუფცია,** ე.ი. პოლიტიკის შემუშავებაში კერძო, ხშირად კორპორატიული ძალაუფლებით დომინაცია. სუსტი სამოქალაქო თავისუფლებები და ნაწილობრივი ეკონომიკური რეფორმები, ხშირად იწვევს სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ნდობის არსებობას. კორუფცია ასუსტებს კანონის უზენაესობას და ძირს უთხრის მთავრობის შესაძლებლობას აღასრულოს კანონები და რეგულაციები. უფრო მეტიც, კორუფცია, არაკონტროლირებადი უცხოური ინვესტიციები და პოლიტიკური კორუფცია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ კონკურენციაზე ბაზარზე შესვლის შეზღუდვით და გავლენიან ელიტებზე ეკონომიკური უპირატესობების განაწილებით.

ეუთო-ს შეუძლია თავისი საქმიანობით ხელი შუწყოს ეფექტური ინსტიტუციების, საჯარო სამსახურისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმას, ასევე ანტიკორუფციული კანონმდებლობისა და შესაბამისი სპეციალური უწყებების განვითარებას. **მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით კი, საიმედო ონლაინ მონაცემთა ბაზების შექმნასა და განვითარებასთან ერთად, ანგარიშვალდებულების ეფექტურ კულტურას მივიღებთ.**

ამ აუცილებელი რეფორმების მისაღწევად, მიზანშეწონილია გამოცდილებათა გაზიარება წევრ სახელმწიფოებს შორის.

უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები

მეტად ინკლუზიური საზოგადოებებისკენ

ჩვენ ვართ მოწმე სახელმწიფოების მიერ საზოგადოების გარკვეული ფენების უსამართლო სექურიტიზაციის შემაშფოთებელი ტენდენციისა. ამის შედეგია **მზარდი დაძაბულობა, მიზანმიმართული დისკრიმინაცია და რეპრესიები.** უსაფრთხოების ბოროტად გამოყენება არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რასაც ადასტურებს ეუთო-ს მონაწილე ზოგიერთ სახელმწიფოში ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ მოპყრობა. ადამიანის ღირსებისა და ადამიანის სიცოცხლის დაცვა სახელმწიფოების მთავარი პასუხისმგებლობა უნდა იყოს. მძიმე პირობებსა და პოლიტიკას სჭირდება ერთიანი საერთაშორისო ქმედება, რომელსაც ეუთო დაუჭერს მხარს.

ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის დასაცავად, **უშუალო საფრთხის ქვეშ მყოფ პირებს** უნდა მიენიჭოთ ლტოლვილთა სტატუსი საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად.

ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის სრული დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრებშიც, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წამების, რეპრესიებისა და მშობლებისგან შვილების იძულებით განცალკევების შემთხვევებს. ამგვარი დაცულობა ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრებისა და ინდივიდებისთვის, რომლებიც ეუთო-ს ტერიტორიის მიღმა ე.წ. გადამზადების ბანაკებში გაგზავნის საფრთხის წინაშე დგანან. ჩვენი რჩევაა მონაწილე სახელმწიფოებმა გადააფასონ და გააუმჯობესონ ზომები, რომელიც გამოიყენება რადიკალიზაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ, კერძოდ მათი პოტენციურად დისკრიმინაციული ხასიათის გამო და უზრუნველყონ მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან თანხმობაში მოყვანა.



საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა საზოგადოება მეტად ინკლუზიური გახდეს. ეუთო-ს რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო სივრცეები, ამისათვის საჭიროა მეტი თანამშრომლობა და ღია დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის; რელიგიური ჯგუფებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობების მიმართ უსაფუძვლო ბრალდებებისგან თავშეკავება; ყველას თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა. ყველა სახელმწიფოში გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა როგორც ქალებისთვის და მამაკაცებისთვის თანაბარი ანაზღაურებისა და ადეკვატური დეკრეტული შვებულების უზრუნველყოფა, ასევე გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სამოქმედო გეგმების მიღება.

რასიზმთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლა მიმდინარე პროცესია. მონაწილე სახელმწიფოებმა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დახმარებით რასიზმთან საბრძოლველად უნდა **შეიმუშაონ ისეთი კონკრეტული სამოქმედო გეგმები,** რომლებიც არ შეიცავენ რელიგიური ჯგუფების შიდა საქმეებში ჩარევას, ითვალისწინებენ რელიგიების ინსტიტუციონალიზაციისა და რელიგიური უმცირესობების ასიმილაციის ელემენტებს. მონაცემები უნდა შეგროვდეს ისეთ ადგილებში, სადაც მაღალია უთანასწორობისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი, რათა შეფასდეს ნეგატიური წინასწარი განწყობა რელიგიური თემების მიმართ, მაგალითად, ანტი-ისლამური და ანტი-სემიტური დამოკიდებულება, და ამით ხელი შეეწყოს ისეთი საზოგადოებების შექმნას, სადაც ყველა თანასწორია.

განათლება

ცვლილებების კატალიზატორი

ადამიანის განათლებით, უნარებით, პერსპექტივითა და შესაძლებლობებით შეიარაღებას უნიკალური ძალა აქვს, გარდაქმნას, განავითაროს და გააერთიანოს საზოგადოება და ინდივიდები. ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესში ადამიანის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების ერთობა გავლენას ახდენს ყველაფერზე -თავდაჯერებულობიდან პიროვნულ მისწრაფებებამდე, და იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი, როგორც მოქალაქეები, საკუთარი სახელმწიფოს საქმეებში. წინამდებარე დოკუმენტს მომზადებისას განათლება გამოიკვეთა როგორც გამჭოლი თემა, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ვაღიარებთ სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისი, სრულიად ახალი უნარების საჭიროებას. განათლება ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე გარემოსდაცვითი თემატიკის გათვალისწინებით შექმნილი გამოწვევების პირობებში. დღეს სახეზე გვაქვს ინდივიდების მოქმედებებისა და ჩვევების ფუნდამენტური ცვლილება, რამაც მოტივაცია მისცა ახალგაზრდებს აქტიურად იყვნენ ჩართულნი კლიმატის ცვლილებების საპროტესტო გამოსვლებსა და კამპანიებში. კრიტიკული აზროვნება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება დეზინფორმაციისა და უნდობლობის ეპოქაში. განათლება, მათ შორის სპორტის მეშვეობით, გვეხმარება ტოლერანტობისა და მშვიდობის კულტურის განვითარებაში, ღია საზოგადოების დაცვასა და

დამკვიდრებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, განათლება ცვლილებების კატალიზატორია და უმნიშვნელოვანესია ეუთო-ს ძირითადი პრინციპების შესრულებისთვის. შესაბამისად, ორგანიზაციას სჭირდება ამ სფეროში უფრო თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება.

განათლება თამაშობს მნიშვნელოვან როლს სიძულვილის, დისკრიმინაციის, ისევე როგორც პოპულიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშინ, როდესაც ექსტრემისტული ჯგუფები ემუქრებიან მშვიდობას, დემოკრატიასა და ადამიანის სიცოცხლეს, განათლება ქმნის მედეგობას რადიკალიზაციის საწინააღმდეგოდ. ვინაიდან განათლება არის კატალიზატორი მრავალფეროვნების, მშვიდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული საზოგადოების არსებობისთვის, მას გაცილებით უფრო მაღალი ყურადღება უნდა დავუთმოთ. მაგალითად, უნდა შეიქმნას კულტურათა და რელიგიათა შორისო ეუთო-ს გაცვლითი პროგრამები სკოლებში, უნივერსიტეტებში, თემებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებს შორის, რაც ეხმარება გრძელვადიანი მეგობრობისა და კავშირების დამყარებას, ცვლის ადამიანების

პერსპექტივას და ზრდის ტოლერანტობას.

ხიდების მშენებლობა
განათლების გზით

ციფრული &კიბერ წიგნიერება
როგორც
გადაწყვეტა

განათლება, რომელიც აქცენტს აკეთებს მშვიდობაზე, უკეთესად უნდა იყოს ინტეგრირებული ოფიციალურ ეუთო-ს რეგიონის სკოლების სასწავლო გეგმებში. აუცილებელია მასწავლებლების სპეციალური მომზადება დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის აღმოფხვრის მიზნით, ისევე როგორც გენდერული თანასწორობის პერსპექტივის, მათ საქმიანობაში ინტეგრირებისთვის. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ მათ საზოგადოებებში გავრცელებული წინასწარი განწყობების იდენტიფიცირება მათთან ეფექტურად გამკლავების მიზნით. ჩვენი რჩევაა, ეუთო-მ ხელი შეუწყოს ერთობლივი სახელმძღვანელოების შემუშავების ინიციატივებს, როდესაც ეს უკავშირდება მგრძნობიარე ისტორიულ პერიოდებს. ამგვარმა მიდგომამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს სხვათა კულტურისა და განსხვავებული ცივილიზაციების უკეთ გაგებას, ისევე როგორც მეტად უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

აუცილებელია მედია წიგნიერების ზრდა. იქ, სადაც მედია წიგნიერება სუსტია, სოციალური მედიის ინსტრუმენტალიზაციის წარმატების რისკი მაღალია. პირები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი ცოდნა ხშირად ექცევიან, თანამედროვე ტექნოლოგიებით შემქნილი სხვადასხვა საფრთხეების ქვეშ - დაწყებული წვრილმანი კიბერ შეტევებით (მაგ. ფიშინგი), პროპაგანდა, ადამიანებით ვაჭრობა და რადიკალიზაცია. ცნობიერების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ნდობის ეროზია, შიშის გაძლიერება და ფიზიკური საფრთხეც კი.

ჩვენს ციფრულ ხანაში, ახალგაზრდები უნდა აღვჭურვოთ კრიტიკული მედიაწიგნიერებით, რაც მათ მისცემთ საჭირო უნარებსა და შესაძლებლობებს თანამედროვე, რთულ და მუდმივად ცვალებად მედია გარემოში ნავიგაციისთვის. ყველა მოქალაქე, მათ შორის ხანდაზმულები, რომლებიც ხშირად ახალი ტექნოლოგიის გარშემო მიმდინარე დისკუსიების მიღმა რჩებიან, საჭიროებენ ინფორმაციას მათი კიბერუსაფრთხოების შესახებ. **მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიური პროცესის კვალდაკვალ, აუცილებელია შეიქმნას უწყვეტი განათლების შესაძლებლობა იმისთვის, რომ ფეხი ავუწყოთ პროგრესს და არავინ დარჩეს მის მიღმა.** ჩვენი შეთავაზებაა, რომ ეუთომ დაიწყოს პარტნიორობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც უკვე საქმიანობენ ციფრული და კიბერუსაფრთხოების განათლების სფეროში (ერთ-ერთ მაგალითია კიბერუსაფრთხოების სფეროში მოქმედი "CybSafe") და შექმნას საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინიციატივები.

კიდევ ერთი მაგალითია პროგრამა "AI- ის ელემენტები", რომელიც წამოიწყო ფინეთის მთავრობამ იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ინფორმაცია და სასაწავლო კურსები ტექნოლოგიებზე, რომელიც ფაქტობრივ მდგომარეობაზეა დაფუძნებული. ამავდროულად, სახელმძღვანელო მითითებები უნდა შეიქმნას ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციებისთვის, რათა გამოიყენონ, როგორც ამოსავალი წერტილი სკოლებსა და თემებში ციფრული განათლებისა და ციფრული ჩართულობის პროგრამების განსახორციელებლად.

დასკვნა
უფრო უსაფრთხო მომავლისთვის

წინამდებარე სადისკუსიო დოკუმენტში, ჩვენ, ექსპერტთა ძირითადი ჯგუფის წევრებმა, წაროვაჩინეთ ის გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელთა გადაწყვეტაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რათა აღვადგინოთ ნდობა და შესაძლებელი გახდეს მშვიდობის დამყარება ეუთოს რეგიონში. ამ საფრთხეებისა და გამოწვევების უმრავლესობა ნაცნობია ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებისთვის. აქედან გამომდინარე, ისინი საჭიროებენ მრავალმხრივ ეფექტურ რეაგირებასა და ეფექტურ პარტნიორობას, მაგალითად, მთავრობებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

ჰელსინკის საბოლოო აქტის მიღებიდან თითქმის ხუთი ათეული წელი გავიდა, თუმცა ეუთო-ს ტრადიციული როლი - იყოს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, დღეს ისეთივე მნიშვნელოვანია, ევროატლანტიკურ და ევრაზიულ სივრცეში მძაფრი დაძაბულობის გათვალისწინებით. ურთერთნდობისა და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესია ეუთო-ს რეგიონში განგრძობადი მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, რაც მიიღწევა დიალოგის შენარჩუნებითა და კომუნიკაციის გაუმჯობესებით მთავრობათაშორის დონეზე. ეუთომ უნდა გამოიყენოს თავისი მეკავშირის ფუნქცია და იქცეს მიმდინარე და გრძელვადიანი დიალოგისა და თანამონაწილეობის პლატფორმად, რაც ინფორმაციის გაცვლისა და ერთობლივი მოქმედებების საშუალებას ქმნის.

ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის გაძლიერებისა და ერთიანი საზოგადოების განცდის ზრდის მიზნით, აუცილებელია ხელი შევუწყოთ საექსპერტო საზოგადოების, მთავრობების წარმომადგნელებს, ახალგაზრდა ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის გაცვლით პროგრამებს. განათლებას და ხანგრძლივ სწავლას - როგორც ფორმალურს, ისე არაფორმალურს - შეუძლია მრავალი პრობლემის გადაჭრა, როგორც 2030 წლამდე, ასევე მის შემდეგ. ჩვენ უკვე დავინახეთ, განათლების ძალა, რაც სტიმულს აძლევს უფრო მდგრად განვითარებას და ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ.

ჩვენ, ექსპერტთა ძირითადი ჯგუფის წევრები, ვხედავთ ეუთო-ს მნიშვნელოვან როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უფრო მეტი მონაწილეობის მისაღწევად, რაც კარგად გამოჩნდა მაგალითად, #პერსპექტივა 20-30-ის ინიციატივით. მეტი მრავალფეროვნებაა საჭირო, როდესაც ვმუშაობთ ეუთო-ს რეგიონის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაზე. ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების ჩართვა, მათი გამოცდილებისა და ექსპერტიზის აღიარება და დღევანდელ და მომავლის ლიდერებს შორის დისკუსიების ინკლუზიურობა, უმნიშვნელოვანესია 2030 წლის შემდეგ ჩვენი საზოგადოებების ჩამოყალიბებისთვის. ამ დისკუსიებით ახალგაზრდების დაინტერესება, ნიშნავს იმათ ჩართვას, ვინც მომავალშიც გააგრძელებს ეუთო-ს საქმიანობას მდგრადი მშვიდობის დამყარებისთვის ჩვენს რეგიონში.

ძირითადი ჯგუფის წევრები

აბდულვაჰობი მუმინჯონიონ, ტაჯიკეთი
აეგერიმ სეიტენოვა, კაზახეთი
ამელა სარიკ, ბოსნია და ჰერცოგოვინა
ანნა ბლუ, აშშ
ანეკა შელი, ბრიტანეთის სამეფო
დავიდ რუაჰ, პორტუგალია
გალია რებეკა ჰოვჰანისიანი, სომხეთი
ჰანე ტენერი, ნიდერლანედბი
ჰეზერ მენი, ბრიტანეთის სამეფო
იულია მასკოვა, რუსეთის ფედერაცია
ივანა ვუჩკოვა, ჩრდილოეთ მაკედონია
ჟულიან დემმერი, გერმანია
კანატბეკ აბდიევი, ყირგიზეთი
კატარინა კერტისოვა, სლოვაკეთი
ქრისტინა არაქელოვა, საქართველო
მიხაელ ფროლოვ, რუსეთის ფედერაცია
ნიკოლ გრაჟევსკი, აშშ.
ოგნიენ მარკოვიჩ, მონტენეგრო
ტაჰა კაან ისლეისი, თურქეთი
ტურან გაფარლი, აზერბაიჯანი
ულიანა იეჰოროვა, უკრაინა
ზარიე კოსიკ, სერბია

ძირითადი ჯგუფის წევრები შეირჩნენ ღია კონკურსის შედეგად ასობით განაცხადის საფუძველზე. წარმოდგენილი 20-30 წლის 22 ახალგაზრდა შევარჩიეთ მათი გამოცდილების, მოტივაციისა და სხვადასხვა საერთაშორისო ქსელებში ჩართულობის გათვალისწინებით. ისინი სრულად წარმოადგენენ ეუთო-ს რეგიონის გენდერულ და გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას. გამოცდილება მიღებული აქვთ სხვადასხვა ინსტიტუტებში: აკადემიაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებთან და მედიაში საქმიანობით. ისინი მონაწილეობდნენ #პერსპექტივები 20-30-ის შემუშავებაში ინდივიდუალურად და ნებაყოფლობით საწყისებზე.

#პერსპექტივები20-30

#პერსპექტივები20-30

#პერსპექტივები20-30

#პერსპექტივები20-30

#პერსპექტივები20-30

#პერსპექტივები20-30

OSCE Organization for Security and Co-operation in Europe

დემოკრატიის აკადემია

თბილისი 2020 წ.